აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით
ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის (ცეცხლმაქრების გადამუხტვა) ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1
(CPV-50413200)

ქ. თბილისი **„01“ „აგვისტო“ 2022წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:
თეონა იაშვილი-სატენდერო კომისიის თავმჯდომარე- გენერალური დირექტორი;
გიორგი ყველაშვილი-სატენდერო კომისიის წევრი - საფინანსო სამსახურის უფროსი - არ ესწრებოდა;
ელისო ხარაიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი;
ზურაბ ენაგელი - სატენდერო კომისიის წევრი - სამეურნეო სამსახურის უფროსი;
ილია ლომიძე - სატენდერო კომისიის წევრი - ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;
ზვიად მელქაძე - სატენდერო კომისიის წევრი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
ინგა გულორდავა- სატენდერო კომისიის აპარატის წევრი- სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტის მ/შ;
სოფიკო ღლონტი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი - არ ესწრებოდა.

დღის წესრიგი:

1.სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის (ცეცხლმაქრების გადამუხტვა) ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარება.
2.აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ, სხდომაზე წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების დამტკიცება.

კომისიამ მოისმინა და განიხილა:
სატენდერო კომისიის წევრის, ელისო ხარაიშვილის ინფორმაციით, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის 2022 წლის 28 ივნისის №33980 მოხსენებითი ბარათისა და მასში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მომზადდა, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის, კერძოდ, ხელის სახანძრო ცეცხლმაქრების გადამუხტვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები.
სხდომაზე განხილული იქნა ბაზრის კვლების შედეგები. აზრის კვლევის მიზნით ინფორმაცია დაეგზავნა 5 პოტენციურ მიმწოდებელს. საიდანაც დაინტერესება გამოხატა ორმა. შედეგად მიღებულია ორი სხვადასხვა შემოთავაზება. 1-ლი შემოთავაზება - 9’324.00 (ცხრა ათას სამას ოცდაოთხი) ლარი დღგ-ის ჩათვლით, მომსახურების გაწევის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღე; მე-2 შემოთავაზება - 15’865.00 (თხუთმეტი ათას რვაას სამოცდახუთი) ლარი დღგ-ის ჩათვლით, მომსახურების გაწევის ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღე.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, ვინაიდან სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები შესაბამისობაშია ბაზრის კვლევის შედეგებთან, ელექტრონული ტენდერი უნდა გამოცხადდეს ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით და შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად უნდა განისაზღვროს მიღებული დაბალი ფასი - 9’324.00 (ცხრა ათას სამას ოცდაოთხი) ლარი დღგ-ის ჩათვლით, ხოლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღე;

კომისიამ დაადგინა:
1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ’’ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე-4 პუნქტის და ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების დამტკიცების წესის დამტკიცების შესახებ’’ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ მიიღო ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება და დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო პირობები და დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა - 9’ 324.00(ცხრა ათას სამას ოცდაოთხი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღე.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის და ,, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის და ამავე წესის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ქართულ ენაზე გამოქვეყნება/განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
3.,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმით დამტკიცდეს სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი და ამავე წესის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი აიტვირთოს სისტემაში სატენდერო განცხადებასთან ერთად.

თეონა იაშვილი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
გიორგი ყველაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი- არ ესწრებოდა;
ელისო ხარაიშვილი- სატენდერო კომისიის წევრი;
ზურაბ ენაგელი - სატენდერო კომისიის წევრი;
ილია ლომიძე - სატენდერო კომისიის წევრი;
ზვიად მელქაძე- სატენდერო კომისიის წევრი;
სოფიკო ღლონტი-სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - არ ესწრებოდა;
ინგა გულორდავა - სხდომის მდივანი.

KA011913158421822

№33980
28 / ივნისი / 2022 წ.

საქართველოს ეროვნული არქივის
გენერალურ დირექტორს,
ქალბატონ თეონა იაშვილს

ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის
უფროსის, ილია ლომიძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო თეონა,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს შეისყიდოს ხელის სახანძრო ცეცხლმაქრების გადამუხტვის მომსახურება თანდართული ცხრილის შესაბამისად.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ილია ლომიძე

არქივი	CO_2-5კგ ნახშიროჟანგი, ou	ABC-5კგ ფხვნილოვანი, op	ABC-4კგ. ფხვნილოვანი, op	ABC-3კგ. ფხვნილოვანი, op
თბილისი			24	
ქუთაისი			19	
ლილო	10	9	3	
ახალციხე			12	
დუშეთი	3	3	3	
ზესტაფონი			14	
თელავი			21	
ოზურგეთი			12	
რუსთავი			18	
ფოთი			5	
ხაშური		3	8	
გორი	3	3	3	
კასპი	3	3	4	
ზუგდიდი			23	
მესტია			5	
ადმინისტრაციული	13	31	39	20
ჯამი	32	52	213	20